მცხეთის რაიონში თითქოს ეერი შეიცვალა. სათაც უნდა გიხვდოთ ან გზა გაპყავთ ან სასმელი წყალი, ყველგან მოჩანს ხარაჩოები და ამ სამოსელით ირთვება დღეს ახლადჩაწერილ საძირკველზე წამომდგარი შენობა თუ ძველი საუკუნეებით დფფუძნებული საყდარი, მონასტერი და ციხე.

ასობით მცხეთელმა სამუშაო დღესა თუ შაბათ-კვირას, უქმე, სადღესასწაულო დღეებშიც კი იშრომა შობიდლიერი რაიონის, სოფლის კეთილდღეობაზე. მარტი 1984 წელს აპრილიდან დღემდე მოიხრეშა 20 კილომეტრამდე გზა, 90 კილომეტრზე გაკეთდა შავი საფარი, 5 კილომეტრზე გზა გაფართოდდა და მოეწყო. ახალი გზა გიოკეანეს 19 კილომეტრზე. გაკეთდა უნაკალური ნიჩბის-ფიდგრის გზა. გაპყავთ აგრეთვე გზები ციხე-კოშკებამდე. დიდ ყურადღებას უთმობენ ეუჩების განთვისას, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფას. შენდება ან კაპიტალური რემონტი უკეთდება კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, კლუბებს, ბიბლიოთეკებს. მცხეთელებს უყურადღებოდ არ რჩებათ თავიანთი ცხოვრების არც ერთი სფერო, არც ერთი უბანი. აშენებენ სპორტულ მოედნებს, აფთიაქებს, მაღაზიებს, ფურნეს, ამბოს...

და მაინც, მცხეთელი შრომელები განსაკუთრებული ინტერესით და მოწადინებით დასტრიალებენ წინაპართა ნაკვალევს და ნაგზაურს. დიდი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქსნის ციხეს, მუხრანის ციხე-გალავანს, წოლეულის ტაძარს, ბებნისის ციხეს... ახლა მცხეთის სეეტიცხოველის შესასვლელს მისდგომიან. აპაკონოა უნდა მოეწყოს ისე, რომ პირველადელი სახე აღუდგინონ. ყველფერი სწრაფად და ამსთანავე გულიანად და სანიღმშვილოდ კეთდება. ყოველივე ამაზე ლაპარაკობენენ ახლახან გამართულ მცხეთის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. ეს თავყრილობა სწორედ კეთილმოწყობისა და აღმშენებლობის საკითხებს განიხილავდა. მომხსენებელი, საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის მეორე მდივანი ზ. ანთაძე უფრო ამაზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც უნდა გაკეთებულიყო და ვერ გაკეთდა. სუსტად იმუშავეს, — თქვა მომხსენებელმა — დიდმის, ცხვარიჭამიის, გალაანის, წოლეულის, ქსოვრისის, ნიჩბისის, ლისის, მუხრანის, საგურამოს, ძეგვის, მისაქეიელის და წეროვნის სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან არსებულმა კეთილმოწყობის ადგილობრივმა შტაბებმა. ა მ ტ ო მ ჩვენ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე სხვა საქმეებზე გადავიყვანეთ და მათ ადგილზე ინიციატივანი, ენერგიელი ახალგაზრდები მოვიწვიეთ.

როგორც ჩანს, მცხეთელები სამომავლოდ უფრო ბევრს გაკეთებას ამირეგენ. ეს სურვილი კარგად აისახა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გამოსულელთა სიტყვებში.

დ. ხუთისაშვილი — პარტიის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე: — მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი უფრო ბევრი დგგრჩა, საამისოდ კი უნდა დაირაზმოს რაიონის მთელი აქტივი, სოფლის მოსახლეობა.

კეთილმოწყობის საქმეში დიდი წვლილი შეეტანეს იმ სამშენებლო ბრიგადებმა, რომლებიც ყველა მეურნეობაში შეგვქმენით. მათ კეთილმოწყობას ცენტრალური და შიდა გზები, კაპიტალურად შეაკეთეს შენობები, ეკალბარდებისაგან გაწმენდეს სოფლები.

ე. ბუტკაშვილი — საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონის მბრძანებელი: ბევრი ორგანიზაცია სარემონტო სამუშაოებს შესრულებას მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა. იმდენად, მათი გაკეთებული საქმე ბარისხოვანია. მაგრამ ორასახარბიელთ მდგომარეობაა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების რემონტისა და კეთილმოწყობის საქმეში.

თ. ლაბაძე — კავშირგამზომლობის მცხეთის რაიონული კვანძის უფროსი: შეუფერებელ ბინებშია გალაანის, დიდმის და ნიჩბისის კავშ

დარგის მნიშვნელოვანი ამოცანები

29 იანვარს გაიმართა „გზათა მინისტრის კოლეგიის დარეკვნების ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლობის მუშაობა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

სამინისტროს 1984 წლის მუშაობის შედეგებისა და 1984 წლის 15 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სტენოგრამა დასახული ამოცანების შესახებ 1985 წლის გეგმისა და მთლიანად ხუთწლედის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ მოხსენება გაკეთა გზათა მინისტრმა ნ. ს. კობარეევმა.

სხდომაზე ყოველმხრივ განიხილეს რკინიგზებისა და გასაფფილების დარგის სამრეწველო საწარმოებისა და საშენებლო ორგანიზაციების საქმიანობა.

კოლეგიამ დასახა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებებისა და დარგის მრეწველობა სოციალისტური ვალდებულებების უფუო შესრულება, მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლება. მოიწონეს მოწონავე კოლეგიებების ინიციატივა, რომ გეგმის გადაჭარბებით გზაზოლნ ზრომის ნაყოფიერება და შეამცირონ ტვირთზიდვის თვითღირებულება. განსაზღვრეს სოციალური განვითარების ფართო პროგრამა.

სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები. (საკრესი).

● ●

საქართველოს თეატრალური საზოგადოების „ვამგეობის პლენუმი

ბაიიანათა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უდროოდ გარდაცვლილი გამოჩენილი ქართველი რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, რესპუბლიკის თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის სახელობისა და უკრაინის სსრ ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ფ. ლეკვსიძის ხსოვნას.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ეროვნული ბ. ლორთქიფანიძე.

პლენუმზე გამოვიდა გ. ლორთქიფანიძე. მან გულთბილი მადლობა გადაუხადა პლენუმის მონაწილეებს დიდი ნდობისათვის.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ეხუთქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ფილიალების ლიტერატურა და ხელოვნების საკითხთა განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, საქართველოს კულტურის მინისტრი თ. ბადურაშვილი. (საქინფორმი).

● ●

სპეციალური ნოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის, აქტიური საზოგადო მოღვაწეობისა და კვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორს სანდრო დუმენტის ძე ჩიქობავაზე მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ სპეციალური ნოდება.

● ●

„პარტიული სიტყვა“ № 2

ბაბოეიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მეორე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება — რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 80 წლისთავის შესახებ.

რუბრიკით „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში“ დაბეჭდილია მასალა — დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტი, ხოლო რუბრიკით „წელი დამამთავრებელი, წელი შემხვედრი“ გამოქვეყნებულია ზ. ჩხეიძის წერილი — „დიდი მიღწევები, ახალი ამოცანები.

გასყოფილებაში „24 თებერვალი: ორიენტაციები დღეა“ დაბეჭდილია: ვ. ავსაჯანიშვილის — „მობრძანდით, ბელეთი აგიტპუნქტი; ლ. კვირიკაშვილის — „ახალებული ფიქრები.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „სიტყვა-საქმიანის!“; „ინფორმაცია-85“; „იდეოლოგიური ცხოვრება“; „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოცხადნენ“, „საქმით დავამტკიცოთ“; „შეკითხვას პასუხი ენდა გაეცეს“; „ისტორია და თანამედროვეობა“; „ამ ტრიალ ქვეყანაზე“ და სხვ.

კონსტრუქციული და პატიოსანი დიალოგისათვის

მოსკოვი საზოგადოებრიობის ფართო წრეები ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ ეენევის მოლაპარაკებას უკავშრებენ გაბალებული შეიარაღების ალაგმვის იმედებს. ამასთან დაკავშრებით ისინი მიუსვამენიან სსრ კავშირის კონსტრუქციულ პოლიტიკას, რომელიც საქმით ცხადყოფს თავის მისწრაფებას თავიდან აიცილოს კაცობრობას ბირთვული ომის საფრთხე, და მოუწოდებენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას დაიკავოს პოზიცია, რომელიც შეესაბამება ორი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს საარსებო ინტერესებს.

ნიუ-იორკი. მომავალი მოლაპარაკებისადმი საბჭოთა კავშირის სერიოზული საქმიანი მიდგომა ნათელია, განაცხადა ომისსაწინააღმდეგო ორგანიზაციის — შშვიდობის მოძრაობა კოალიციის ხელმძღვანელობის წევრმა ვენდი კუმ. მან აღნიშნა, რომ სსრ კავშირმა ცალმხრივი წესით უკვე იკისრა ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი და იჩქეს ინიციატივებს, რომელთა მიზანია გამაღლებული შეიარაღების ალაგმვა ახალ სფეროებზე მისი გადაანთხა თავიდან აცილება. ე. კუმ გამოთქვა დიდი შეშფოთება ბუნებრივნონ მიერ შემოშავებული „კოსმოსური ომების“ პროგრამასთან დაკავშირებით. „ეენევაში წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად განუხრელად დაიცავენ მორიგების იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკების საგანი იქნება კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების საკითხთა მთელი კომპლექსი,“ — ხაზგასმით აღნიშნა მან. რეიგანის ადმინისტრაციამ ბოლოს და ბოლოს, უნდა დაადგეს გონივრული გზა, გამოავლინოს ნამდვილი მისწრაფება შშვიდობისადმი.

სან-ფრანცისკო. „ამერიკელები ოდნავადაც არ აცალეს ენთუზიაზმს „კოსმოსური ომების“ მზადების ადმინისტრაციის გეგმებთან დაკავშირებით და იღაშქრეგენ იმის წინააღმდეგ, რომ მოეწყოს კვლეკა კოსმოსური ბაზრების ელემენტებიანი თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის შექმნის დარგში“, — აღნიშნავს გაზეთი „ლოს-ანჟელეს ტაიმსი“. გაზეთი იმოწმებს ბის მიერ მოწყობილი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებს და აღნიშნავს: ამერიკელ შეერთებული შტატების მცხოვრებთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ასეთი სისტემის შექმნა დაარღვევდა არსებულ სამხედრო წონასწორობას და მხარს უჭერს ბირთვული არსენალების რაც შეიძლება მალე გაყინვას და მათი შემდგომი ზრდის შეწყვეტას.

ოტაკა. ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული თავდაცვის დარგში პრეზიდენტ რეიგანის ინიციატივის“ განხორციელება გამოიწვევს კოსმოსურ სივრცეში გამაღლებული შეიარაღების გავრცელებას, წერს საუტემ ნიუსს პრესსამსახურის მიმომხილველი. გამაღლებული ბირთვული შეიარაღების ისტორია, აღნიშნავს იგი, მოწმობს, რომ კვლევითს სამუშაოებს ყოველთვის მოჰყვება ამა თუ იმ იარაღის შექმნა, შემმდეგ კი მისი განლაგება, რაც მეორე მხარის კონტრღონისძიებებს იწვევს. ამიტომ ყოველგვარი ღონისძიებანი ახალი სახეობის იარაღის შესაქმნელად შეუთავსებელია შეიარაღებისადმი კონტროლთან და რა თქმა უნდა, განიარაღებასთან.

ბრაზილია. ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატმა მარსელო ბრაგამ სსტიკად გააკრიტიკა ვაშინგტონის გეგმები დედამიწისირგალეგი სივრცის მილიტარიზაციის დარგში. „კოსმოსი შშვიდობის სამეს უნდა ემსახურებოდეს, და არა სსრ კავშირთან შედარებით სტრატეგიული უპირატესობის მიღწევის მიზნებს, — თქვა მან. — კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია ნიშნავს გამაღლებული შეიარაღების თვისებრივად ახალ ეტაპს, რომლის შეკავება კიდევ უფრო ძნელი იქნება. სწორედ ამიტომ მთელ მსოფლიოში ფართოდ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კონსტრუქციულ პოზიციას, რომლის მიზანია კოსმოსში გამაღლებული შეიარაღების გავრცელების თავიდან აცილება“.

დელი. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი ეენევის დიალოგი ულარსად მნიშვნელოვანია მთელი კაცობრობისათვის, განაცხადა ინდოეთის დედაქალაქის მერმა, ჰ. ლ. სათმმ. მან აღნიშნა, რომ ინდოელი ხალხი უაღრესად შეშფოთებულია ვაშინგტონის ადმინისტრაციიანი კურსით, რომელიც მსოფლიოს კატასტროფის უფსკრულის პირას აყენებს.

„მიუმხრობელი ქვეყნები მტკიცედ უჭერენ მხარს ხალხთა მოთხოვნასს, რომ კოსმოსური სივრცე ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი იყოს, — წერს გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“. კოსმოსი უნდა გამოიყენებოდეს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, და არა „კოსმოსური ომების“ ასპარეზად.

ეთიოპია

დახმარების საბაბით

პროტესტი სუდანისა და საუდის არაბეთის მიმართ

ადის-აბება. ეთიოპიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბრალდებ დასდო სუდანსა და საუდის არაბეთს, რომ ერევა ქვეყნის საშინაო საქმეებში და მოსოხოვა მათ დახმარება შეუწყვეტონ სეპარატისტთა ბანდიტურ დაჯგუფებებს.

„არ შეიძლება იმ ფაქტის უარყოფა, ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გავრცელებულ განცხადებაში, რომ ამ ორი ქვეყნის ხელისუფალნი ხელს უწყობდნენ სეპარატისტულ მოძრაობების ორგანიზაციას ეთიოპიის ჩრდილოეთ რაიონებში და, არეულვენ რა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის საყოველთაო პრინციპებს, თავიდანვე ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ მათ. სუდანის მთავრობა, აღნიშნულია დოკუმენტში, ცდილობს თავისი მიზნებისათვის გამოიყენოს დამღუპველი გვალვა, რომელმაც დაუბარალა აფრიკის კონტინენტის მნიშვნელოვანი ნაწილი. სტაქიური უბედურების მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის საბაბით იგი სეპარატისტებს აწვდის იარაღსა და ტყვია-წამალს. სუდანის ტერიტორიაზე განლაგებულ ლტოლვილთა ბანაკებს იყენებს ტერორისტულ ხასიათისა ბანდიტ-ბანდიტების დაკრიბვებისათვის.

განცხადებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ ხართუმში ამას წინათ გაიმართა რეაქციისა და ექსპანსიონიზმის ძალების სამსახურში მყოფი ბანდიტური დაჯგუფების მეთაურთა თათბირი. მასში მონაწილეობდნენ სუდანის, საუდის არაბეთისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები. ეთიოპიის საწინააღმდეგო შეკრება მოწმობს, რომ სუდანის ხელისუფალნი ფართოდ ეროვნან ეთიოპიის საშინაო საქმეებში.

სუდანის, საუდის არაბეთისა და მათი თანამოაზრეების ტრუფლი მოქმედება მტკიცე გმობას იმსახურებს, ხაზგასმულია დოკუმენტში. ეთიოპია მოითხოვს თავისი დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, აცხადებს, რომ მათი უზრუნველყოფისა და დაცვისათვის იქნებული იქნება განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი.

ფოტოფაქტი

„ძირს პინოჩეტის ხროვა!“

პარიზი. საფრანგეთის ათასობით მეცხოვრენი მონაწილეობდა პინოჩეტის დიქტატორულ რეჟიმის მხეკობის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციაში ჩილეს საელჩოს შენობასთან. შეერთებული გაიმართებენენ ლოზუნგებს: „პინოჩეტი მკვლელია“, „ძირს პინოჩეტის ხროვა!“. მანიფესტანტებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ჩილელ ხალხს და მხარი დუუჭიერეს მის სამართლიან ბრძოლას ქვეყანაში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღსადგენად.

უსახტიკესი ტერორისა და რეპრესიების მიუხედავად, ჩილელ ხალხს გადაწყვეტილი აქვს არ შეენელოს ბრძოლა სძალელი დიქტატორის წინააღმდეგ, მიაღწიოს პინოჩეტის გადადგომას და ქვეყანაში მმართველობის დემოკრატიული ფორმების დაწესებას. ჩილეში არ წყდება მასობრივი გამოსვლები, რომელთა მონაწილეთა მოითხოვენ დევნის შეწყვეტას, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენას, სიღარიბისა და უმუშევრობის აღმოფხვრას.

სურათებზე: საპროტესტო დემონსტრაცია პარიზში ჩილეს საელჩოსთან (ზემოთ); ასე უწერდნენ პოლიციი პინოჩეტის რეჟიმის მოწინააღმდეგეებ ს. (ქვემოთ).

პრესნა-ლატინა-საკადრისის ფოტო.

ქართველ მედიკოსთა აღიარება

ქართველ ექიმთა ჯგუფი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვახტანგ ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით წარდგენილია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიაზე.

ჯგუფის წევრების უმრავლესობა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლები არიან: პროფესორი ვახტანგ ბოჭორიშვილი — ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგე, დოცენტი ქეთევან გომელური — ამავე კათედრის დოცენტი, პროფესორი ალიკო კიხტარია—მეანობისა და გინეკოლოგიის პირველი კათედრის გამგე, პროფესორი გურამ ნიკაურაძე — პედიატრიის კათედრის ხელმძღვანელი.

ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოგვეფიქა აზრი პროფესორ ვ. ბოჭორიშვილის ნოვატორული საქმიანობის, უაღრესად საშიში და საკმაოდ გავრცელებული დაავადების — სეფსისის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი დიდი მიღწევების შესახებ.

ამჟამად გვსურს შევეხოთ ქართველ ექიმთა აღნიშნული ჯგუფის მოღვაწეობის სხვა მხარეს, ერქმევ იმას, თუ როგორ ხდება ჩვენს ინსტიტუტში ახალი პროფილის სპეციალისტების მომზადება, რომელთა მიზანია გარდაქმნან მუშობა სეფსისის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში.

სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ პირველი სსსრ-ული პროგრამები ამ დარგში არა მარტო რიგით ექიმთათვის, არამედ პროფესორ-მასწავლებელთა მოსამზადებლად პირველად ჩვენი ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე შეიქმნა და მეცადინეობა ამ პროგრამების მიხედვით უკვე დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

რამდენიმე თვის წინათ საშუალება გვქონდა დავსწრებოდით საწარმოო თათბირს, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრაზე მოეწყო. თათბირს დაესწრო ჩვენი ქეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული 4 პროფესორი — კათედრის გამგე, 8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, 14 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, აქედან 6 დოცენტი და 8 ასისტენტი. თავიანთი პროფესიული მომზადების ასამაღლებლად თბილისში ჩამოვიდნენ ექიმები ლენინგრადიდან, ტაშკენტიდან, კიევიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან, დონეცკიდან და სხვა ქალაქებიდან. გაგაცნობთ თათბირის მონაწილეთა აზრს მეცადინეობის თაობაზე.

ტაშკენტის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის გამგე დ. კარიმოვა:

— 15 წელია ვასწავლი, ბევრჯერ ვეცადე მე თვითონ სადმე მესწავლა, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ აქ ვიგრძენი ნამდვილად, რომ მასწავლიან. აუცილებელია თქვენი მიღწევების უფრო მეტი პროპაგანდა, საჭიროა პროფესორების, დოცენტებისა და ასისტენტების სპეციალიზებული ჯგუფების შექმნა.

კიევის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის № 3 თერაპიის კათედრის გამგე დ. დროზდოვი:

— სეფსისზე ბევრი რამ წამიკითხავს, მაგრამ აქ დავრწმუნდი, რომ თერაპევტები ამ დაავადების თანამედროვე დონეზე არ ვიცმოთ. ჩვენი ინსტიტუტის რექტორატში გადავწყვეტეთ, რომ უპირველესად ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგეები, რათა რაც შეიძლება მალე გადავიღოთ ის დიდი დაგებითი გამოცდილება, რომელიც საქართველოს სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრშია დაგროვილი.

ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის № 3 ქირურგიის დოცენტი ი. ზუბოვსკი:

—პირადად მე დიდი ხანია დაინტერესებული ვარ სეფსისის პრობლემით, ბევრს კკითხულობ და ვმუშაობ ამ დარგში, მეგონა, ვიცოდი დაავადება, თბილისში დახელოვნების ცოცოს გავლამ დამახვა, რომ ვცდები, ასევე ცდება ალბათ ახლა ქირურგია უმრავლესობა.

ასევე ილაპარაკეს ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგემ თ. ჩორნიამ და ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის ექიმთა დახელოვნების ფაკულტეტის სამეანო-გინეკოლოგიის კათედრის გამგემ ი. რემბეზნმა და სხვებმა.

თბილისში პროფესორ-მასწავლებელთა ასეთი ავტორიტეტული ჯგუფის ჩამოსვლა სეფსისის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში დელეგენების მიზნით ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქართველი სპეციალისტების მიღწევები. სეფსისი უმძიმესი დაავადებაა და ბოლო დრომდე მრავალი ადამიანის სიკვდილს იწვევდა, დაავადებულთა თითქმის 50 პროცენტი იღუპებოდა. ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ღონისძიებებს მოითხოვდა.

სასიხარულოა, რომ ეს პირველად საქართველოში გახდა შესაძლებელი, ჩვენი ინსტიტუტის ინფექციურ სნეულებათა კათედრა ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩაუდგა სათავეში სეფსისთან ბრძოლის ორგანიზაციას, რესპუბლიკური კლინიკური ინფექციური საავადმყოფოს ბაზაზე (მთავარი ექიმი — გ. ათანელავა) კათედრის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მოხდა აკადემიფთა კონკურსებია, დამუშავდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის სეფსისის, განსაკუთრებით მისი ელვისებური ფორმის ადრეული გამოვლენა, მათი დროული ჰოსპიტალიზაციის, გამოკვლევის და მკურნალობის ორგანიზაცია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ყოველივე ამან საშუალება მისცა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ 5 წლის წინათ ჩამოეყალიბებინა სეფსისის საწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრი. ამ ცენტრის მუშობამ საკავშირო აღიარება მოიპოვა და ამამად იგი არა მარტო საქართველოს ემსახურება, არამედ დახმარებას უწევს საქმოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსაც.

ს. ხეჩინაშვილი,
თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები ბიბლიოთეკა

31 იანვარი | საკადრესი იუწყება

ინდოეთი

პარლამენტის სესია

დელი. აქ მუშობა დაამთავრა ინდოეთის პარლამენტის რიგგარეშე სესიამ. ეს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანის პირველი სხდომა იყო გასული წლის დამლევს გამართული ქვედა (სასახლის) პალატის არჩევნების შემდეგ.

სესიაზე ფიცი დადეს ახლად არჩეულმა დეპუტატებმა, მიიღეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონპროექტები, მათ შორის კანონპროექტი, რომელიც აწესრიგებს ინდოეთის საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საზღვარგარეთიდან ფულადი სახსრების შემოსვლას. ეს დოკუმენტი, აღნიშნავს გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“, მიზნად ისახავს იმას, რომ ხელი შეუშალოს საზღვარგარეთის სახელმწიფოთის მიერ ძირგამომხრელი ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების დაფინანსებას, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობას ეწევიან ქვეყანაში.

პარლამენტარებმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიაპყრეს შშვიდობის დაცვისა და ბირთვული ომის საშიშროების აღმოფხვრისათვის ბრძოლის საკითხებს. ისინი მიესალმნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ეენევაში გამართული შეხვედრის შედეგებსა და მასზე მიღწეულ მორიგებას იმის შესახებ, რომ მოეწყოს მოლაპარაკება კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების თაობაზე, და იგი შეფასესს, როგორც პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამალებული შეიარაღების ალაგმვის გზაზე.

ინგლისი

სამართლიანი განაჩენი კონსერვატორთა პოლიტიკას

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გადაწყვეტილება

ლონდონი. „სამართლიანი განაჩენი გამოუტანეს კონსერვატორთა სოციალურ პოლიტიკას“, — ასე აფასებენ აქ ოქსფორდის უნივერსიტეტის მასწავლებელთა მალალი შემადგენლობის გადაწყვეტილებას უარი უთხრან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მ. ტეტჩერს სამართლის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებაზე. მეცნიერების თვალსაზრისი მოღვაწეთა თითქმის ორმა მესამედმა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ასწავლიან სტუდენტებს ბრიტანეთის ამ ცნობილ უმაღლეს სასწავლებელში, განაცხადეს, რომ იგი ამ წოდების ღირსად არ მიაჩნიათ.

ეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში ნამდვილად „ხენაციური“ გახდა, ვინაიდან ინგლისის მთელი ომის შემდგომი ისტორიის მანძილზე ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ესოდენ მალალი რანგის პოლიტიკური მოღვაწისათვის, რომელსაც უსწავლია ამ უნივერსიტეტში, მისთვის საპატიო დოქტორის მინიჭებაზე ასეთი მკაცრი ფორმით ეთქვათ უარი. ამასთან ეს უარი გამოხატავს ქვეყნის მეცნიერთა წრეების მხარე უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ კონსერვატორები ახორციელებენ სოციალურ პროგრამებზე „ეკონომიის“ პოლიტიკას, რომელმაც განათლების სისტემის არნახული კრიზისი გამოიწვია.

ეს პირდაპირ განაცხადეს ოქსფორდის პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ პრემიერ-მინისტრისათვის საპატიო წოდების მინიჭების საკითხის გადასაწყვეტად. „ჩვენი დღევანდელი პროტესტი მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც წარმოგვიდგება მ. ტეტჩერის სახით, — თქვა, ეკრძოდ, მედიცინის პროფესორმა დ. ნობლმა. — ჩვენ მოვალენი ვართ მთელი სიღრმით წარმოვაჩინოთ უკმაყოფილება, რომელიც გამოიწვია განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის მიმართ „კონსერვატორთა გამაჩანაგებელმა ურსმა“. განხილვა ამ ფრაზით „ეკონომიმ“ ... ...



ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ—ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის შეზეიმის ეკსპოზიციაში არის სტენდი, რომელიც ეძღვნება თბილისელი მერკვილაძის ოჯახს. „ყველა წავედ ფრონტზე, ბინა ჩაბარდ რაისაბჭოს“. ასეთი წერილი იყო მოკრული 1941 წელს ცარიელი ბინის კარზე, თუმცა— ცოტა ხნით. ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომმა დროებით აქ ჩასახლა ევაკუირებულთა ოჯახი, რომლებთანაც სავსე იყო ქალაქი ომის წლებში.

ლაკონიურ, სიჩქარეში დაწერილ წერილს ხელს აწერდნენ გრიგოლ და ეალენტინა მერკვილაძეები, მათი სამი ვაჟი შოთა, გივი და თენგიზი. ახლა თბილისში ცხოვრობს შოთა მერკვილაძე, გადამდგარი ოფიცერი — მფრინავი ვალენტინა მერკვილაძე კი მოსკოვში ცხოვრობს თეზგიზთან ერთად.

ოთხი წელი ებრძოდა ფაშისტებს ცაში, ანადგურებდა. მოწინააღმდეგის ქვეით ჯარსა და ტანკებს მოწამლე შოთა მერკვილაძე. იბრძოდა კავკასიის მთიანეთში, ბატიასკთან სტალინგრადის ცაში. გერმანიაში კი, ვისლაზე, დაიბრა, გამარჯვების დღეს ჰოსპიტალში შეხვდა...

— მართალი გითხრათ, ჩვენს ოჯახს ბედი ჰქონია — ყველა გადარჩა. ბერლინამდე თავის ავიაპოლკთან ერთად იარა თენგიზმა, ომიდან დაბრუნდნენ მამა და გივი, რომელსაც მძიმე კონტუზია მოუვიდა. ოჯახურ „უულაბაში“ სანი ათეული საბრძოლო ჯილდოა! ხუთი მათგანი დედისაა. მაგრამ იცი, — განაგრძო თავისი მოგონებები შოთა მერკვილაძემ, — ყველაზე გასაოცარი რამ შეგიკეთებდა მე და დედას 1941 წლის სეპტემბერში... ქალაქ ორჯონიკიძის ბაზლობაზად საველე აეროდრომზე მძიმე საჰაერო ბრძოლის შემდეგ დაეშვა უფროსი ლეიტენანტის მერკვილაძის ავიაგამანადგურებელი. ის-ის იყო შოთამ მოიხსნა შლემოფონი, როცა იგი გამოიძახა პოლკის მეთაურმა ს. ვორობიოვმა. ბრძანება საბრძოლო მფრინავთსთვის უჩვეულო იყო: სანტარიული თვითმფრინავით უნდა გადფრენილიყო თბილისში ომიდან ჰოსპიტალში მიეყვანა ძმიმედ დაჭრილი.

„არის, ამხანაგო პოლკოვნიკო!“ — უპასუხა შოთამ და არც კი უფიქრია დაღლილობაზე. ამა დადო რა ბედენა იყო, როცა შესაძლებლობა მიეცა კვლავ შშობლიური თბილისი ენახა! მაგრამ დავალება ადვილი არ იყო. კავკასიის მთები სანტარიული თვითმფრინავისათვის ძნელი ტრასაა და მფრინავმა მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო: მან გარისკა „მესერშმიტებთან“ შეხვედრა, ა. ჯ. ... ბაკოს გავლით გფენრიდა მოკლე მარშრუტით. შემდეგ, უკვე ელიმენტებისგან შეიტყო — თვითმფრინავს რომ ერთი-ორი საათი დეკვეინა, დაჭრილ მედიცინის დახმარება ვეღარფიერს უშველიდა. დილით კი, როცა საავიაციის ჰოსპიტალში მიიღო პაციენტ „დოკუმენტებიანი“ მფრინავმა იკითხა დაჭრილის მდგომარეობა. „ყრმაო, — უთხრა მას ქირურგმა, — დროულად მოიყვანე. შეგიძლიათ ინახულოთ მიბრძანდით ეი იქით, ქალთა პალატაში“.

— რატომ ქალთა პალატაში?— გაოცებით იკითხა შოთამ.

— თქვენ ხომ ქალი მოიყვანეთ — საბჭოური ფეოშალი მერკვილაძე.

— ვალენტინა?

— დიახ.

— კი მაგრამ ეს ხომ დედაჩემია!

... როცა მფრინავი პოლკში დაბრუნდა, მეთაურმა, უწინარეს ყოვლისა, ჰკითხა:

— დედა, როგორ არის?

— უკეთ, კარგი, რომ არ მითხრიან, ამხანაგო პოლკოვნიკო, ვინ მიშველა თბილისში, ოროვ ბეიძლება ნერვებს ემტყუნა...

— რა არ ხდებოდა ომში! ამ მოვლენამდე ოთხი თვით ადრე ხომ მერკვილაძემ საპაერო ბრძოლაში ერასნოდართან თავისი „იაკით“ ჩამოაგდო ... გერმანელთა ავიგამანადგურებელი. მაგრამ მეორე ფაშისტმა დაეხიანა მისი თვითმფრინავი. შოთამ, რომელიც პარაშუტით გადმოხტა, ბრანდა დაკარგა. ბოხს მოვიდა .უკვე დედამიწაზე. მან მეთაურის ფორმაში ჩაცმული ორი ქალი დაინახა. ერთი მათგანი დედამისი იყო. სასწრაფოდ დაეხმარა ეიეს, გაგზავნა ჰოსპიტალში, თავად კი თავის ნაწილში გაიქცა.

„დიდი სამამული ომის მრისხანე წლების 92 ათასზე მეტი შვილე გაგზავნა თბილისმა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად“, — თქვა ამხანაგმა კ. უ. ბერნენკომ 1982 წლის 30 ოქტომბრის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ; დედაქალაქისთვის ლენინის ორდენის გადაცემას.

შ. მერკვილაძე საბრძოლო წინოელი დროს, მეორე ბარისაის სამამული ომის, წითელი ვარსკვლავის ორდენების კავალერია... მერკვილაძეთა მთელი ოჯახი იმ თბილისელთა შორის იყო.

Ა. ᲨᲘᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘ,
(საჭიფორმის კორ.).

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: კარგახელ დღეო! გასხენეს... შოთა მერკვილაძე დედასთან ერთად კუკის სამეგობრო ხელოვნელეს (ბარკვნიკ); სამეგობრო ალბომის დათვალიერებისას შვილიშვილებთან ერთად. ს. ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქართველოს ფოტოკორესპ.).

ᲐᲕᲐᲚᲐᲜᲩᲘ ქუჩაბანდებში გაიბინა მისმა ბავშვობამ. ეროვნების ნაირგვარეობაში ამ კუთხეს ვერც ერთი ვერ შეედრებოდა, მაგრამ აქაური გოგო-ბიჭებისთვის ეროვნების ეს ცნება მაინც ბევრს არაფერს ნიშნავდა.

ორი ქვით შემოსაზღვრულ კარში თავგამეტებით ურტყამდნენ რეზინის ხორკლიან ბურთს. მანქანა იშვიათად თუ ხელს შეუშლიდა, ეტლი — მით უმეტეს.

პეტრა თავდამსხმელებშიც ისახელებდნენ, დაცვაშიც ირჩევდნენ. დილიდან დადამებამდე შეუსვენებლივ ითამაშებდა, დეღის ძახილი რომ არა.

მაშინ კი საპენალტიდ გამზადებულ ბურთსაც თავს ანებებდა და შინისკენ მიდიოდა თავჩაღუნული.

საშეალო სკოლის დამთავრების ფრიადოსნის აღესტატი სწორედ იმ „წელს აიღო, როცა ლეონტიმა მსოფლიოს უდიდესი უბედურების დაწყება აუწყა.

თვე-ნახევარი ძმაკაცებთან ერთად ძებნასა და წრიალში გაატარა. ბოლოს მიაგნეს. მათი ადრინდელი მეგობარი კომკავშირის რაიკომის მდივნად გადაეყვანათ.

1941 წლის 25 აგვისტოს რვა ქოხორდიკარტნილი, უწოლოანთ ბიჭი ყოფილ მასწავლებელს მიადგა და ჯარში მოხალისედ წასულში დამპარეგა სთხოვა.

თხოვნა მოთხოვნას ჰგავდა.

კაცმა ცრემლი დამალა და თვითონაც ნაცრობს — არმიის სარდლობის განსაკუთრებული პოლკის უფროსს დაუჯიკა. საუკეთესო სპორტსმენები გამომეცხდინენ.

დედამ უმცროსი შვილის ჯარში გამგზავრების ამბავი წინა ღამით შეიტყო.

უფროსი ძმა და ერთადერთი სიძე წინა ხაზზე იბრძოლნენ უკვე.

დედამ გული გიიქვავი, დილაბნელზე სამჯერ დაატრიალა და მაღე საღ-სალამათად დაბრუნება უსურვა.

ის დღე იყო და ის დღე. მისი კოკანდარი შვილი ამ ძველი სახლის ბინადრად აღარ დაბრუნებულა.

ჩვიდმეტი წლის ტანმორჩილი ბიჭი იმ დღიდან დაადგა დიდი ომის უმნელეს და უგრძელეს გზას.

რადისტების სამთვიანი კურსები ერთ თვეში დაამთავრებინეს. სამასიდან მხოლოდ თორმეტი ამოარჩიეს.

თავი გადაიკლა, ფრონტზე გამგზავნეთო. ვეუფფარს გახდა. კავშირგაბმულობის ერთ-ერთ სასწავლებელში გაამწესეს. ზეთმასა, თქვმსა და ყინვაში მიხდორში გადიოდნენ ზეორთნას.

ზეთნახევრიანი კურსები ზვიდ თვეში დაამთავრებინეს. ზვიდასი კაცილან თვრამეტი ამოარჩიეს და სტალინგრადში გაამწესეს. პეტრე მაისურაძე უცოროს ლეტენანტის ჩინით ზორეულია აღმოსავლეთის მესაზღვრეთა მეთე მოტმსროელი დივიზიის ოცეულის უფროსად დანიშნეს.

ამ ზაფხლის ბოლოს და ზეშემოდგომის დასაწყისში ხუთასი თვითმფრინავი ბომბავდა ქალაქს. ერთი უუმბარა დივიზიის შტაბს პირდაპირ მოხვდა და იქ სამეზე შესული მაისურაძე ფანჯრიდან ნანგრევებში გადაისროოა.

სამ დღეს და სამ ღამეს ეგდო გონდაკარგული. მეოთხე განთიადზე მაგრამ რაზმმა აღმოაჩინა.

თვითონ არაფერი ახსოვდა. ასტრახანის ჰოსპიტალში მოვიდა გონს, მხარში ტყვიამოხვედრილი, იმდენად კონტუზირებული იყო, თითქმის ვეღარ ლაპარაკობდა.

თვის თავზე გაავეფული მისი ექიმი ჰოსპიტლის უფროსთან შეკვარდა.

— ან მომეხმარეთ, ეს ენადაბორკილი ავამეტყველოთ, ან თხოვნა შეუსრულეთ, ფრონტზე დაგაბრუნეთ. აღარ შემიძლია მისი გაძლებაო.

ამჯერად თავისი გიიტანა.

მაშინდელი დაუმთავრებელი ტოკრანალობა კი ამლაც, ორმაეი წლის შემდეგაც ახსენებს თავს და აღელვებისას ენას უბორკავს.

დანიშნულება ქ. ორჯონიკიძეში, მესაზღვრეთა იმ სახელგანთქმულ პოლკში მიიღო, რომელსაც ქალაქის დაცვა ევალებოდა და რომელიც ჯერ კიდევ ,ოდესის დაცვის თვითრად დაეთოკლა. მაისურაძეს კი საფეთქლები გაუშალარავდა.

მის სიცოცხლეში ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა უფროსთა დასტურის გარეშე მიიღო ასეთი სერიოზული გადაწყვეტილება.

პეტრე მაისურაძეს თვითნებობისათვის ათდღიანი შინაპატიმრობა მიესაჯა.

მერე კი, როცა იმავე უფროსობამ გამოთვალა, რამხელა თანხა დაიზოგა, რამოდენა ეკონომია მისცა ქვეყანას ამ ბიჭის სთამამემ, ერთი თვის ჯამაგირი პრემიად გადაეცა და კიდევ. მერე, ორი წლის მერე, კაპიტნობაზე ვადაზე ადრე წარდგენებისას, სხვა მრავალ დამსახურებასთან ერთად, ეს შემთხვევაც გიახსენეს.

არადა, როგორც „კი შვილი ოდესაში დაიბადა, მარგალიტამ უმალვე წასვლა გადაწყვიტა. ვერც ქმრის უარმა დააშლევინა, ვერც ახლობლების რჩევამ.

უკან ორი თვის შემდეგ დაბრუნდა, ,ალმის უკვე გამოტრიბული, უკვე დაკარგულად ჩათვლილი, გაწამებული, დაბრძენებული, ილუზიებდაკარგული.

ფაშისტები ბედისწერას ვერ ურიგდებიან, მის შემობრუნებას, ოდესმე რეკანშის აღებას იმედოვნებენ.

ჩამოვლენ კავშირის ყოველი კუთხიდან, სოციალისტური ქვეყნებიდან სპეციალისტები და დიფტერესებული პირები.

ეურნალ „პოგრანიჩნიკში“ პოლკოვნიკ გონგოვსკის დიდი ,სტატია დაიბეჭდება: „სწრაფვა გამარჯვებისაკენ“.

მაისურაძის სასაზღვრო რაზმს სანიმუშოს წოდება მიენიჭება, ხოლო თვით ობიექტი კავშირგაბმულობის ,ეტალონად მიიჩნევა. ამ დღიდან მოყოლებული ყველა ინსტრუქციასა და დადგენილებაში იგი მოყვანილი იქნება როგორც ტიპური. დაიწერება სახელმძღვანელოები, გადაიღება სასწავლო-საჩვენებელი კინოსურათები.

თვით ხაზს პეტრე სიმონის ძე მაისურაძის სახელი შეერქმევა.

მაისურაძე დაჯილდოდგება მედლით „სახელმწიფო საზღვრის წარჩინებით დაცვისათვის“.

მერე კი მოვა ბრძანება მისი დაწინაურების შესახებ.

ცამეტ წელიწადში საბჭოთა კავშირის მესაზღვრეთა ჯარების ნაწილებს შორის. გამართულ ზეჯიბრებში ცამეტჯერ გაიმარჯვა, ათჯერ გარდამავალი დროშა დაიკაკუთრა. რესპუბლიკის საზოგადოება „დინამოს“ საბჭოს საპატიო დროშა სამეფამდ მათთან დარჩა. სიგელები, მადლობები, წარჩინების სხვა ნიშნები — უამრავი, უთვალავი...

სამხედროთა მორიგ თავყრილობაზე ხანდაზმულმა გენერალმა ტრიბუნედან მოულოდნელად გამოაცხადა:

— ამხანაგო მაისურაძე, გამოდით და გაგვიზიარეთ რა არის ამ წარმატებათა საიდუმლო?

დარბაზი უხერხულად შეიშეშა. ოფლაე ფეიმკოლონერ, ტანმორჩილი კაცი ტრიბუნასთან დადგა და ხალხს გადახედა. მისი ჩინისანი აქა-იქ კანტაკუნტად მოჩანდნენ. სხვები ჩინითაც და წლოვანებითაც ბევრად უფროსები იყვნენ. მოდი და, თქვი რაიმე, ასწავლე.ამათ ანა-ბანა.

კაცმა მღელვარება დაიოკა, ჩვეულებისაებრ არ აბორძიკებულიყო.

— ვცდილობთ წესდების მიხედვით ვიცხოვროთ, ამხანაგო გენერალო. მოხსენება დამთავრებულია.

თქვა და გაიღიმა.

დაძაბულმა დარბაზმა ჯერ შეეხეთ ამოისუნთქვა, მერე ტაშად აქუხდა.

შარშან სამოცი წლის იუბილე გადაუხადეს მეგობრებმა.

მაგიდაზე დაბეჭდეული სიგელების, მადლობების, ჯილდოების რიგები, რაც უმწიკლო სამსახურისთვის მოუღია, სამოცს ბევრად აღემატება. იმ ჯროვიდან ერთი მისთვის საპატიო დინამოელის სახელის მინიჭებას გვიწყვებს.

ორი ორდენის და თერმეტი მედლის კავალერი, ბევრი რაციონალური წინადადების ავტორია, რომლებმაც რა ხანია პრაქტიკული გამოყენება ეპოვეს. ერთი ქალის და ორი ვაჟის მამაა. უმცროსი, თენგიზი, მამის კვლს გაჰყვა, სამხედრო სამსახურში დარჩა და უკვე ლეიტენანტის ჩინი მიიღო.

მარმარილოთი გამოთლილი მისი ქანდაკება მოსკოვში მესაზღვრეთა ჯარების მუზეუმში დგას.

ამას წინათ კიევის სამოქალაქო ავიაციის საინჟინრო ინსტიტუტის რექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე აქსიონოვი, რომლის თანაშემწედაც აღიქამდ მეშობს, სწერდა:

„ᲒᲣᲚᲬᲧᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲦᲠᲛᲘᲗ მადლობას გიცხადებთ იმ ყურადღებისთვის, რომელსაც გამედმენით ჩიენი სამეცნიერო-კვლევითი სტენტრის კოლექტივისადმი ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევით საშეშაოთა განვითარების საქმეში“.

და მაინც, ღვთით მონიჭებული ტალანტის სრული რეალიზეა ვერ მოახერხა. საოცრად ორგანიზებული მეტყველება, საკუთარი თავისადმი უმეღიავთო ბოძთხოვნელობა, ათვისების სისწრაფე და ნიჭიერება, გადაცემის უბადლო უნარი, გამომგზნებლობისადმი ბუნებრივი მიდრეკილება სხვა სარბიელს ანატრებინებდა ამ თვისებათა პატრონს. რა ვუყოთ, ომმა სხვებს სიცოცხლე წაართვა, უფრო მეტს — შვილები.

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲨᲐᲚᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲒᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲖᲔᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲐ

უკვე განთავისუფლებულ რეგიონებში რუმინელებად გასაღებული გერმანელები საზღვარზე რეზიდენტის ჩატოვებას ცდილობენ. სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები საბჭოთა საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად გამაღებულები მუშაობენ. 1945 წლის დასაწყისში მოსკოვთან კავშირის დასამყარებლად უფროს ლეიტენანტს მაისურაძეს იძახებენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთივე სავალებო დავალების შესრულებისას დევერსანტები მის მანქანას ხრიმში აგდებენ. ორი ამხანაგი კვდება. თვითონ მხარში დაჭრილი, ნენეგზრამტერეული ხელით ამოაყავთ მეკავშირეს.

იმ დღეებმა სამახსოვროდ ხელოვნური ნეკნები დაუტოვეს.

1945 წლის მაისს ისევ ოდესაში ეგებენს.

ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებას უბრუნდება. მაისურაძეს ისევ ჯარში ტოვებენ.

საზღვარი მთებში გადის. ზოგის სიმაღლე ორ კილომეტრს აღწევს. აქ სხვა მოკოოკლობაა. ათასი მეტრის ზვეთი მთაგრეხილი ყინვით იფარება.

სასაზღვრო რაზმის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ რაიონში კავშირგაბმულობა არ არსებობდა მეტეოროლოგიური პირობების გამო.

მაისურაძე საკუთარი ძალებით იწყებს კავშირგაბმულობის ხაზის გაყვანას, ბოძების ორმოცდაათმეტრიან დაშორიშორებს ოცდათუთმეტ ამეტრს. მიწაში უფრო ღრმად ფლვს, მავთულებშორის არსებულ სამოც სანტიმეტრს სამოცდაათმეტ ზრდის და, რაც მთავარია, ჩამაგრების ადგილებში სპეციალურ ზამბარებს თავავებს.

შემოდგომის დამდეგს ჩამოსული კომისია შესრულებულ სამუშაოს ამოწმებს და დიდძალი მასალის, დროისა და სახსრების უპერსპექტივო დახარჯვისათვის, აგრეთვე თვითნებური მოქმედებისთვის პეტრე მაისურაძის დასჯას მოითხოვს.

პირველი თოვლის ჩამოყრიდან ვიდრე პირველი ნაფრის გაჩეხვამდე, ვინ იცის, დამეში რამდენჯერ წრიალებდა ტელეფონის ზარი.

— გისმენთ მორიგე მესაზღვრე!

— ᲯᲝ, არ წყმეცეთ, დგას?

— დგას, დგას, დაიძინეთ ამხანაგო კაპიტანო, დამშვიდდით!

იმ გაზაფხულიდან მოყოლებული დასავლეთის საზღვარს სტუმარი და მნახველი აიკლებს.

ᲛᲔᲓᲔᲐ ᲨᲐᲚᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

13—14 Ა�პᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲐ

ᲣᲕᲔᲚᲐ ქართველისათვის, ვისაც აღამაღლებს და აღფრთოვანებს ბრძოლასა და შრომაში გამოწრთობილი „ჩაკრული“, „მხედრული“, „შემოძახილი“, ვისაც ეროვნულ სიამაყესა და სიხარულს, ქვეყნის თავდადებას და მოძმის სიყვარულს აღუძრავს ქართული ეროვნული კულტურის საგანძური — ქართული ხალხური სიმღერა, ჟვირფასი და პატეესაცემი ფერუს მახათელაშვილის სახელი..

ფ. მახათელაშვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლობდა, როცა ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბში ხალხური სიმღერების ანსამბლს ჩაუდგა სათავეში, 1937 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მომღერალთა „გუნდს ხელმძღვანელობს, 1939 წლიდან გარდაცვალებამდე — 1970 წლამდე თელავშია და მრავალმხრივ საყურადღებო შემოქმედებითს შრომას ეწევა განათლების მუშაკთა სახლში, კულტურის რაიონულ სახლში, პირველ სამეალო სკოლაში, ,ძალსაღები ფაბრიკის კლუბში, მშობლიურ კერდელეურში.

თელავში ჩამოსვლისთანავე ფ. მახათელაშვილმა ჩაიწერა და გადაამუშავა ,ცნობილი სახალხო მომღერლების ლეკან ასპაშვილს, ილიკო სინჯიკაშვილს, მიხა აკეგარეზიშვილს, ვანო მუკედლიშვილს, მიხო ,ციღაურს, ნინია ელიავიშვილს და სხვათა სიმღერები, რომელთაც თავის მხრივ ბრწყინვალე შემსრულებლები ჰყავდა: გ. ამზაშვილი, გ. ფეიქრიშვილი, ზ. ლომიძე, მ. მარკოზაშვილი, ა. შაშურაშვილი, ა. ფიტულიშვილი, ზ. ბიძინაშვილი, დ. მარკოზაშვილი, ა. რაზმაძე, კ. თამარაშვილი... შესანიშნავი მომღერალი ქალები მ. ბერძენიშვილი, ე. მამუკელაშვილი, ქ. ჯაშიაშვილი, თ. ლეარსაბიშვილი, ლ. თვალიაშვილი, ნ. ფარცხალაძე, მ. ტურაშვილი; აკომპანიატორები სერგო და თამარ ბაჩიაშვილები და სხვები.

ფ. მახათელაშვილმა შექმნა საუკეთესო, მწყობრი ანსამბლი, რომელშაც სახელი გაითქვა რეს-პუბლიკაში და რომელიც ემსახურებოდა კეთილშობილურ მისიას — ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას. 35 წლის მანძილზე მღეროდა ფ. მახათელაშვილის გუნდი ძარღვიან და ეაკაკეური შემართების სიმღერებს: „ჩაკრული“, „შუმილი მუხასა“, „შენ ხარ ვენახი“, „გაფრინდი შაო მერცხალო“, „გუშინ შვიდნი გუთკახელნი“, „შემოძახილი“ ... რამდენჯერ მიუღია ამ გუნდს საქართველოს ტელევიზიით რეს-პუბლიკის მშრომელებისათვის ახალი წელი „მრავალჟამიერით“.

ხალხური სიმღერებთან ერთად ფ. მახათელაშვილის გუნდი ოტატურად ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების ნ. სულხანიშვილის, მ. ჩიტინაშვილის, შ. შმელეიძის და სხვათა სიმღერებს და, რაც მთავარია, საკუთარი შრომითა და სიყვარულით შექმნილ და დამუშავებულ სიმღერებს „ნუ გიყოს, ქალაუ“, „სიმღერა კახეთზე“, „სიმღერა თელავზე“, ,ქორეოგრაფიულ-მუსიკალური სუიტა „მთისა და ბარის მეგობრობა“.

შემოქმედებითი გამარჯვების ბევრი მღელვარება, ჩიხარული, აღიარება, ჯილდო და წოდება განუცდია და მოუხვეჭია ფ. მახათელაშვილს თავისი ,ყმოლშობილური მოღვაწეობით. 1951 წელს მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე მასწავლელს სახლთან არსებული გუნდის მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის, აგრეთვე ხანგძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ფ. მახათელაშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სპატიო წოდება მიენიჭა, 1967 წელს კი მასწავლებელთა გუნდი მახათელაშვილის ,ხელმძღვანელობით დიდი ოქტობრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამართული საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გახდა.

ფ. მახათელაშვილმა სახელი გაითქვა ,ყოველივე თვითნასწავლმა კომპოზიტორმა, მანვე შექმნა ახალი, კომბინირებული სახის მუსიკალური ინსტრუმენტი ჩანგური, რომელშიც შერწყმულია ჩანგი, ფანდური და ჩონგური.

ამ დღეებში თელავის საზოგადოებრიობამ სიყვარულით აღნიშნა ფ. მახათელაშვილის დაბადების 70 წლისთავი, მოიგონა მისი ღვაწლი და ამაგი; ასეთი ცხოვრების გზა ხომ, მართლაც სამაგალითოა სხვათათვის.

მ. ᲨᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
თელავის განათლების მუშაკთა რაიონული სახლის განყოფილების გამგე, კულტურის დამსახურებული მუშაკი.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

ᲠᲝᲒᲝᲣᲠᲘ. ქალაქ ფილადელფიაში (აშშ) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე თავი ისახელა 20 წლის ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა მიროსლავ მეჩირმა. მან ფინალამდე დაამარცხა ცნობილი ჩოგბურთელები — შვედი იოანეთ ნიუსტრი